შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

2023 წელი

მმართველი საბჭოს დებულება

მუხლი 1 ზოგადი დებულებები

1. მმართველი საბჭოს დებულება (შემდგომში **,,დებულება"**) აწესრიგებს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში ***,,უნივერსიტეტი'***) მმართველი საბჭოს (შემდგომში საბჭო) უფლებამოსილებას, სტრუქტურას, დაკომპლექტების წესს, მმართველი საბჭოს საქმიანობის წესს, საბჭოს წევრის უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის წესებს;
2. მმართველი საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება ამ დებულების შესაბამისად უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 2 მმართველი საბჭოს სტატუსი და მიზანი

1. საბჭო არის უნივერსიტეტის, კოლეგიური მართვის ორგანო, რომელიც დებულებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით;
2. საბჭოს მიზანია უნივერსიტეტის განვითარებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღება;
3. საბჭო დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, ის ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 3 მმართველი საბჭოს უფლებამოსილება

1. საბჭოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

   ა. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის, მისიის, ხედვის განხილვა და დამტკიცება;

   ბ. უნივერსიტეტის სამოქმედი გეგმის განხილვა და დამტკიცება;

   გ. ფაკულტეტის წარგინებით, აკადემიური უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების დამტკიცება, ასევე ფაკულტეტის წარგინებით, აკადემიური უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამის გაუქმების ან/და ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ფაკულტეტის წარდგინებით არსებული აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა;

   დ. უნივერსიტეტის საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა, დამტკიცება;

   ე. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განსაზღვრა, დამტკიცება;

   ვ. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განსაზღვრა, დამტკიცება;

   ზ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განსაზღვრა, დამტკიცება;

   თ. უნივერსიტეტის სტრუქტურის საკითხების განხილვა და დამტკიცება, უნივერსიტეტის დებულების განხილვა, დამტკიცება;

   ი. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების შექმნის, მათი რეორგანიზაციის და გაუქმების ასევე ფაკულტეტების შექმნის, რეორგანიზაციის და გაუქმების საკითხების განხილვა და დამტკიცება;

   კ. ეთიკის კოდექსის განხილვა და დამტკიცება;

   ლ. ბიუჯეტის ან/და არსებულ ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;

   მ. ბიუჯეტის შესრულების თაობაზე პერიოდული ანგარიშის მოსმენა;

   ნ.უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის პერიოდული ანგარიშის მოსმენა;

   ო. ხარისხის განვითარების პერიოდული ანგარიშის მოსმენა;

პ. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის პერიოდული ანგარიშის მოსმენა;
ჟ. საპატიო დოქტორის სტატუსის მინიჭება;

რ. სასწავლო წლის დასაწისში, ფაკულტეტების წარდგინებით, მისაღები კონტიგენტის ოდენობის, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის არჩევითი საგნების, არჩევითი საგნების მიხედვით კვოტის, გამოცდების კოეფიციენტებისა და საგანთა პრიორიტეტების დამტკიცება, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცება;
ს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტების დამტკიცება სამაგისტრო გამოცდისთვის, ასევე ფაკულტეტის წარდგინებით, სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცება.
ტ. სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში ფაკულტეტის წარდგინებით, მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაწესება;
უ. აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის დამტკიცება;
ფ. უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით პირდაპირ გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების შესრულება.

2. მმართველი საბჭო მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას გამოსცემს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს - დადგენილებას;
3. საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 4 მმართველი საბჭოს შემადგენლობა და ფორმირება

1.საბჭოს შემადგენლობაში შედიან:
ა. რექტორი;
ბ.კანცლერი;
გ. ვიცე-რექტორები;
დ. უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანები;
ე.ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
ვ. ფინანსური სამსახურის უფროსი;
ზ. მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურის უფროსი;
თ. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
ი. ბიბლიოთეკის მენეჯერი;
კ. სამი აფილირებული აკადემიური პერსონალი თითოეული ფაკულტეტიდან;
ლ. ერთი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თითოეული ფაკულტეტიდან;
მ. ერთი უნივერსიტეტის სტუდენტი თითოეული ფაკულტეტიდან;
ნ. ერთი პოტენციური დამსაქმებელი თითოეული ფაკულტეტიდან.

2. მმართველ საბჭოში აფილირებული აკადემიური პერსონალის სიას წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტი. მმართველ საბჭოში შესაყვანი აფილირებული აკადემიური პერსონალი აირჩევა თითოეული ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ხმათა უმრავლესობით.
3.საბჭოს წევრი შესაძლებელია იყოს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურსის სტუდენტი. მმართველ საბჭოში შესაყვანი სტუდენტის კანდიდატურას წარადგენს ფაკულტეტი. მმართველ საბჭოში შესაყვანი სტუდენტები აირჩევა თითოეული ფაკულტეტის საბჭოს მიერ ხმათა უმრავლესობით.
4.მმართველი საბჭოს წევრი შესაძლებელია იყოს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურსდამთავრებული. მმართველ საბჭოში კურსდამთავრებულს წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტი. კურსდამთავრებულის შერჩევა ხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ ხმათა უმრავლესობით.
5. პოტენციური დამსაქმებლის საბჭოს შემადგენლობაში წარდგენა ხდება ფაკულტეტის მიერ. უნივერსიტეტში არსებული თითოეული ფაკულტეტის საბჭო ხმათა უმრავლესობით ირჩევს პოტენციურ დამსაქმებელს რომელიც იქნება მმართველი საბჭოს წევრი.
6. საბჭოს წევრად, ამ მუხლის, პირველი პუნქტის ,,კ'' ან/და ,,ლ'' ქვეპუნტით გათვალისწინებული კურსდამთავრებულის ან/და სტუდენტის კვოტის ფარგლებში არ შეიძლება აირჩეს კურსდამთავრებული ან სტუდენტი რომელიც არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული/დამხმარე, აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორი ან უნივერსიტეტში გადის სტაჟირებას.
7. საბჭოს შემადგენლობაში, არ შეიძლება ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული აფილირებული პერსონალის კვოტის ფარგლებში, იყოს ის აფილირებული აკადემიური პერსონალი რომელიც არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი.
8. ფაკულტეტის საბჭოზე, აფილირებული აკადემიური პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის ან/და პოტენციური დამსაქმებლის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს წევრს/წევრებს ან/და უშუალოდ კანდიდატს. პროცესის კოორდინირებას შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან ერთად ახდენს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.
9.მმართველი საბჭოს სხდომაზე ცალკეული საკითხების განხილვის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა მოწვეულ იქნან პირები რომლებიც არ არიან მმართველო საბჭოს შემადგენლობაში, კერძოდ: ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, მოწვეული ექსპერტები და ა.შ.

მუხლი 5 მმართველო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა

1.საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს, განისაზღვრება მათი ადმინისტრაციულ პოზიციაზე ყოფნის ვადით;
2.საბჭოს წევრთა უფლებამოსილება რომლებიც წარმოადგენენ აფილირებულ აკადემიურ პერსონალს განისაზღვრება 2 (ორი) კალენდარული წლით;
3.კურსდამთავრებულის, სტუდენტის და პოტენციური დამსაქმებლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით;

4.იმ შემთხვევაში თუ საბჭოს რომელიმე წევრს ამ დებულებით დადგენილ ვადაზე ადრე შეუწყდება უფლებამოსილება, ფაკულტეტის საბჭო წარადგენს ახალ წევრებს რომელსაც ამ დებულებით გათვალისწინებული წესით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. ახალი წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება დარჩენილი ვადით.

მუხლი 6. მმართველო საბჭოს საქმიანობის წესი და სხდომის ჩატარების პროცედურა

1.მმართველი საბჭო საკითხებს განიხილავს სხდომებზე, გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით;

2.მმართველი საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობის უნივერსიტეტის რექტორი. რექტორის არ ყოფნის შემთხვევაში მმართველი საბჭო ერთჯერადად განსაზღვრავს საკუთარი წევრებიდან პირს, რომელიც გაუძღვება სხდომას;

3. მმართველი საბჭოს სხდომები მოიწვევა უნივერსიტეტის რექტორის მიერ, განსახილველი საკითხების შესაბამისად;

4. საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრებაარსებულ წევრთა არაკლებ ნახევარზე მეტი (51%)

5. თითოეულ საკითხზე საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეების ხმათა უბრალოდ უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. თითოეულ საკითხს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

6. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილების ფორმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;

7. საბჭოს საქმიანობის ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი, რომელსაც ხმათა უმრავლესობით ირჩევს მმართველი საბჭო.

8. საბჭოს მდივანის ფუნქციებია:

ა. საბჭოს სხდომების შესახებ წევრების ინფორმირება;

ბ. საბჭოს სხდომის დღის წესრიგის შედგენა და წევრებისთვის გაგზავნა;

გ. საჭიროების შემთხვევაში საბჭოს სხდომის შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით ჩაწერა და დაარქივება;

დ. საბჭოს სხდომის ოქმის შედგენა, გაფორმება;

9.საბჭოს მდივნის არ ყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს საბჭოს მიერ საბჭოზე არჩეული ერთ-ერთი წევრი.

10. მმართველი საბჭოს ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს სხდომის მდივანი.

მუხლი 7 მმართველი საბჭოს წევრის უფლებამოსილების წარმოშობა და შეწყვეტა

1. საბჭოს წევრის უფლებამოსილება წარმოიშობა მმართველი საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ რექტორის ბრძანების ხელმოწერისთანავე;

2. საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოხდა უნივერსიტეტის ლიკვიდაცია;

ბ. უნივერსიტეტმა დაკარგა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი;

გ. უნივერსიტეტში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილება, რომლის ფარგლებში მოხდა მმართველო საბჭოს როგორც მმართველი ორგანოს გაუქმება;

დ. სტუდენტის, კურსდამთავრებულის ან/და პოტენციური დამსაქმებლის შემთხვევაში, საბჭოს წევრმა პირადი განაცხადით გამოთქვა საბჭოდან გასვლის სურვილი;

ე. აფილირებული აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, საბჭოს წევრმა პირადი განცხადებით შეწყვიტა აფილირება უნივერსიტეტთან ან/და დატოვა აკადემიური თანამდებობა. ასევე იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი საფუძვლით შეწყდა შრომითი ხელშეკრულება უნივერსიტეტსა და აკადემიურ პერსონალს შორის.
ვ. ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, შეწყდა შრომითი ხელშეკრულება უნივერსიტეტსა და პერსონალს შორის;
ზ.გარდაცვალება, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან/და გარდაცვლილად გამოცხადება;
თ.პირი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირი სცნეს მხარდაჭერის მიმღებად;
ი. პირი სისტემატიურად არასაპატიო მიზეზით არ ცხადდებოდა საბჭოს სხდომაზე რის გამოც საბჭომ ხმათა უმრავლესობით შეუწყვიტა უფლებამოსიულება. აღნიშნული საფუძველი არ გამოიყენება მხოლოდ საბჭოს წევრ ადმინისტრაციულ პერსონალზე.
კ. სტუდენტი წევრის შემთხვევაში, პირს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი;
ლ. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 8 დასკვნითი დებულება

1.წინამდებარე დებულება ამოქმედდეს რექტორის მიერ ამ დებულების დამტკიცებისთანავე;
3.დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ რექტორის სამართლებრივი აქტით, უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.